ასპექტის გამოხატვა ქართული ზმნის პარადიგმაში (კორპუსული ანალიზი)

ალექსანდრე აბრამიშვილი

სამაგისტრო ნაშრომი წარდგენილია ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის მეცნიერებათა და ხელოვნების ფაკულტეტზე გამოყენებითი ენათმეცნიერების მაგისტრის აკადემიური ხარისხის მინიჭების მოთხოვნების შესაბამისად

გამოყენებითი ენათმეცნიერება

სამეცნიერო ხელმძღვანელი: სვეტლანა ბერიკაშვილი, ასოცირებული პროფესორი

ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2026

როგორც წარდგენილი სადისერტაციო ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებლად მიღებულ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

ალექსანდრე აბრამიშვილი

20 ივნისი 2026

აბსტრაქტი

ამ ნოშრომის ფარგლებში ჩვენ ვიკვლევთ ასპექტის გამოხატვის საშუალებას ქართული ზმნის პარადიგმაში, კერძოდ კი, ზმნისწინის ფუნქციას და მის ურთიერთმიმართებას აქციონსარტისადმი. არსებულ ლიტერატურაში ასპექტის გამოხატვის შესახებ მხოლოდ თეორიულ მეთოდოლოგიურ ჩარჩოს, ანუ ლინგვისტურ ინტიუციაზე დაფუძნებულ მსჯელობას შევხვდებით, რომელიც ნაკლულია ქართული ზმნის რთული პარადიგმული სტრუქტურისა თუ პარადიგმული მრავალფეროვნების გამო. ჩვენი მიზანი ასპექტის გამოხატვის ზოგადი პრონციპების გამოკვლევაა ზმნათა ყველა ფორმასა თუ ყველა ტიპში. ამ კვლევის სიახლე არის კორპუსული და სტატისტიკური მეთოდოლოგია, რომელმაც საშუალება მოგვცა მილიონობით ზმნური ფორმა დაგვემუშავებინა. კერძოდ კი დავამუშავეთ, 96 პარადიგმული ყალიბი, 568 განსხავევებული ზმნა, 914 557 თეორიული ფორმა და 3 452 505 წინადადება. დამუშავების პროცესში მივიღეთ წმინდა ფორმალური მწკრივების ახალი ნომენკლატურა 33 მწკრივით, 16 ზემწკრივით (მხოლოდ ზმნისწინით განსხვავებული მწკრივების წყვილი) და 8 აქციონსარტში კლასიფიცირებული ზმნებით. შედეგად გამოვლინდა, რომ ზმნისწინების გამოყენება პირდაპირ დამოკიდებულია იმაზე, თუ რა ტიპის ასპექტური სემანტიკა აქვს ზმნას; კერძოდ, თუკი დროში გადაჭიმულ მოვლენას ასახავს, რომელიც მდგომარეობას არ ცვლის, ამ ზმნებს ბევრად ნაკლები ზმნისწინიანი ფორმა ეწარმოებათ, ვიდრე ისეთ ზმნებს, რომლებსაც მდგომარეობის შემცვლელი ან მომენტალური შინაარსი აქვთ; რაც იმას ამტკიცებს, რომ ზმნისწინი ასპექტის მაწარმოებელი, კერძოდ კი სრული ასპექტის მაწარმოებელი მორფემაა ზმნის უღლების პარადიგმაში. კვლევაში ასევე გამოვლინდა სხვა ტიპის კორელაციები, როგორიცაა სერიებს შორის ასპექტური და ქცევის ნიშნების არსებობის კორელაცია ზმნისწინების გამოყენებასთან.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ასპექტი, ზმნისწინი, უღლების პარადიგმა, აქციონსარტი, ქართული, კორპუსული ანალიზი

Abstract

In this paper we explore the means of aspect expression in the Georgian verb paradigm, specifically the function of a preverb and its relation to the Aktionsart. In the literature on this topic we only encounter the theoretical methodological framework, or the argument based solely on the linguistic intuition of the researcher. This methodology may be faulty because of the structural or typological vastness of the Georgian verb paradigm. Our aim is to investigate aspect expression patterns throughout every verbal form or every type of verb. The novelty of this research in the statistical and corpus methodology, which gave us the possibility to process millions of verbal forms. Precisely, we processed 96 different paradigmal blueprints, 568 verbs, 914 557 verbal forms and 3 452 505 sentences. In the process we identified a new nomenclature for purely formal screeves with 33 of them, 16 superscreeves (the pairs of screeves differ only by preverb existence), and verbs classified into 8 Aktionsarts. The results show us that the usage of preverbs is straightforwardly dependent on the lexical aspect of a verbs; particularly, if a verb denotes an event spanning over a time period and it does not change a state, this verb produces much less preverbed forms than the ones which have state-changing or punctual aspectual meanings. This confirms that preverbs have aspect-changing, more precisely, perfectivizing properties in the verbal inflectional paradigm. The results also showed other kinds of correlations, such as the difference in Series in the aspectual sense and the correlation between version markers and the usage of preverbs.

Key Words: aspect, preverb, inflectional paradigm, Aktionsart, Georgian, corpus analysis

მადლობა

ადამიანს, რომელსაც უდიდესი წვლილი მიუძღვის ჩემი ლინგვისტური ინტერესების გაღვიძებაში და ყოველთვის დარჩება ჩემს აკადემიურ თუ პერსონალურ მისაბაძ მაგალითად - ბებიაჩემს, ნათელა იმედაძეს.

დიდი მადლობა ადამიანებს, რომლების გარეშეც ჩემი სამაგისტრო ნაშრომო საბოლოო სახეს ვერ მიიღებდა. მათი დამსახურებით არის, რომ შევძელი ასეთ თემას შევჭიდებოდი. მადლობა ჩემს ხელმძღვანელ სვეტლანა ბერიკაშვილს, ჩემი ფაკულტეტის ხელმძღვანელ ირინა ლობჟანიძეს, ილიას უნივერსიტეტის შეუპოვარ რექტორ ნინო დობორჯგინიძეს, რომელიც მუდმივად მზად იყო ჩემს დასახმარებლად, რუსუდან გერსამიას ფასდაუდებელი რჩევებისთვის და ზაქარია ფურცხვანიძეს თავისუფალი დროის ჩემი სამაგისტრო თემისთვის დათმობისთვის.

მადლობა პაულ მოირერს, რომელმაც გამიზიარა თავისი შექმნილი ქართული ეროვნული კორპუსის კონკორდანსების სია, რამაც ჩემი კვლევა საგრძნობლად წასწია წინ.

მადლობა გიორგი წერეთელს სტატისტიკურ ანალიზთან დაკავშირებით გაზიარებული რჩევებისთვის, გული სახვაძეს და ნიკო კასრაძეს ბაზების სტრუქტურების დამუშავებაში, ანამარია ღლონტს აკადემიური რჩევებისთვის, ნინი ლომიძეს სამუშაო გარემოს შექმნისთვის, ხოლო ნიკო გიორგაძეს აკადემიური გარემოს შექმნისთვის.

მადლობა ტომოს პარის, რომელთან ხანგრძლივი დისკუსიის შედეგად პირველად გამიჩნდა მოტივაცია, მეკვლია ასპექტის გამოხატვა ქართულ ენაში.

მადლობა ჩემს ოჯახს მხარდაჭერისთვის: ნანა ბერეკაშვილს, მიხეილ აბრამიშვილს, მარიამ აბრამიშვილს, ელენე ბაბუნაშვილს, პის, ბუსის და ბზიკს.

მადლობა ნუცა ნინუას და ფისუნას, რომელთა თანამონაწილეობის გარეშე ეს თეზისი დღის სინათლეს ვერ იხილავდა.

და ბოლოს, მადლობა ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტს, რომელიც დაძაბული პოლიტიკური კლიმატის და მუდმივი მუქარის ფონზე აგრძელებდა არსებობას და ყოველთვის იმაღლებდა ხმას იმ ღირებულებების შესახებ, რომლებსაც უნდა ეფუძნებოდეს არამხოლოდ ქართული განათლების სისტემა, არამედ მთლიანად ჩვენი არსებული თუ მომავალი საზოგადოება.